სწრაფი მოწოდებანი დაგზავნეთ ყოველ-
განაო, სამაგიეროდ სტამბოლიდან პატ-
რიარქისაგან სრულიად საწინააღმდეგო
ამბები მოდის. ასე, მაგალითად, კონდა-
კი, (სტამბოლში მყოფი სომეხთა პატრი-
არქი) პირდაპირ იუწყებოდა, რომ სო-
მეხთა შესახებ ვაგრცელებული ამბები
სინამდვილეს არ შეეფერება, გაზეთდე-
ბულია, არავითარ აბდულ-ჰამიდის რე-
ჟიმი ჩვენ არ გაგვთენებიაო.¹⁾

ქართული პრესა ამ ამბავს სიხარუ-
ლით მიეგება. ქართველებმა ერთად
სომეხებსაც ამწვიდებდა „ოსმალეთის სა-
სომეხეთში არავისა ჰხოცავენ... ოსმა-
ლეთის ადმინისტრაციას ნაბრძანები აქვს
კონსტანტინოპოლიდან მიერიდის ყო-
ველთათვის საკმისი გაწვევებას, პირიქით,
ეცლის მოსახლეობის გული მოიგონ
რითმე...“ და შემდეგ: „...მასხალადმე,
სიმაირლეს მოკლებულია ის მართლაც
ამაღლებელი და გულის აღმშოფოა-
ბელი ცნობები „კავ. სლოვოსი“, რომ-
ლის მიხედვით 17 სოფელი ამოუღებ-
ლია უკვე ჩვენ გულწრფელად შეგვა-
წუხა და შეგვაძრწუნა ამ ამბავმა, მაგ-
რამ, ღვთის მადლით, დღეს ირკვევა,

რომ შიში სომეხების ამოუღებელია თით-
ქმის უსაფუძვლო და გაზეთდებულა“²⁾.
რას ნიშნავს, ბ-ნ ჩალხუშინაო?
ნუთუ ასეთი საბუთი დამამტკიცებელი
არის თქვენი რწმენისა, რომ ქარ-
თველები დაფ-ნალარით შეეგებნენ „სომე-
ხების უღებლას“? ნუთუ ქართველების
ზნეობრივი მოვალეობა არ იყო თავიანთ
მკითხველისათვის მეზობლის სწორი ამ-
ბები მიეწოდებინა? ვინაა მართალი? ვი-
ნაა მტყუანი? „კავკას. სლოვო“, „პორი-
ზონ“-„მშაქ“ ეპისკოპოს ნერსისი და
ანდრონიკები თუ პატრიარქი კონდაკი?
ვის დაუფრავთ? ან ვინ გაგვემტყუნე-
ბინა? თუ სტყუოდნენ პირველი, მაშინ,
ცხადია, პატრიარქი კონდაკიან ერთად
მართალია უფროსი „კლდე“, თუ
სტყუის პატრიარქი, მით უარესი ერთისა
და მეორისათვის. ყოველ შემთხვევაში
რა შუაშია, გეთაყვო, ქართული პრესა,
რომ მეტორე დედაკაცის გულა წამოჰკი-
ლოს ბ-ნმა ჩალხუშინმა? ვისა აქვს და-
საყვედრებელი და ვინა სწერება! თვითვე
სწორიან, თვითვე ჰკერავენ და თუ ამ
დერკიკებს სერთუკი უხეიროდ გამოუ-
ვიდათ, ამას ჩვენ გვაყვედრიან. აი, სწო-
რედ ამაზე შეეძლო ნეტარხსენებულ მო-
ლიერს ეთქვა: „La comédie ne peut pas
mieux finir“.

მაგრამ სრულს კომედიამდე ჯერ შო-
რსა ვართ. ამასაც ვნახავთ.
(შემდეგი იქნება)
დ. კახრაძე.

პ რ ე ს ა

მკითხველი წაიკითხავდა ჩვენი გაზე-
თის გულწრფელ ნომერში დეპუტატის
კ. ჩხეიძის წერილს კავკასიის ერობის
შესახებ.
„კავკ. სლოვო“ სწერს ამ წერილის
გამო:
მოსალოდნელი იყო (!) რომ ბ-ნი
ჩხეიძე გამოიჩინდა მთელს თავის ენერ-
გიას და დაეხმარებოდა კავკასიის ოც-

ნების განხორციელებას. მაგრამ... იგი
ხელმძღვანელობს უცოდველ დერკტი-
ვებით. მას თავი ამაყად აუწვევია და ამ-
ბობს: ან ყველაფერი, ან არაფერი.
საკანცელარიო ბიურაქტები ცივ
ქვასავით სტრიან: არაფერი! დემოკრა-
ტიულ ნაწერთა ბიურაქტები დაქი-
ნებით იმეორებენ: ყველაფერი! და თუ
ამ დროს მისი თანამემამულენი სიმშლის
განიცდიან და მშველელიც არსად მოს-
ჩანს, თუ თმში გაყვანილ სახალხო მას-
წავლებლებს ჯამაგირებს უსაბუნ, ვი-
ნაიღვან ერთის უქონლობის გამო სხვას
არავის შეუძლიან დახმარება, თუ მო-
ვანში მამასისხლად ჰყლიან ყველა-
ფერს და დამამარ არაინ არის, თუ
ვენახები იღუპება გოგირდისა და შაბი-
ანის უქონლობის გამო — ეს ყველა ეს
ჩხეიძის საქმე არ არის, რადგან თანა-
მედროვე ერობას „მე ხელს არ მოვა-
წერ“ იმ ხალხს, ვინც იგი სათათბირო-
ში გაგზავნა, ერობა ისე სტრია ვითარ-
ცა პური არსობისა, ჩხუპი კი ცდი-
ლობს შეინარჩუნოს პრინციპი მართლ-
მადლებელ დემოკრატისა, რომელსაც
კომპრომისი ეზიზღება.

ყველაფერი მართალია, მაგრამ რათა
გონია სოლოლაკელთა გაზეთს, რომ „მო-
სალოდნელი იყო“ ვითომ ჩხეიძე შიშე-
ცილ ერობას მხარს დაუჭერდა. გვიან-
ლა ეხლა აღშფოთება და წუწუნი. ბ.
ჩხეიძე სწორედ სოლოლაკელთა ხმებით
არის არჩეული, ამიტომ ხატსოგმა და
მისმა დამქმმებმა, როცა ორტოლოქსი
სოც. დემოკრატი ჩხეიძე იარჩიეს ბურ-
ჟუა ავტონომისტს ანდრონიკაშვილს
ქართველთა ეროვნულ იდეის შესარც-
ვენად, ძალიან კარგაი იცოდნენ რომ
ჩხეიძე არასოდეს არ აწარმოებდა ყოველ-
დღიურ, თანდათანურ პოლიტიკას. იცო-
დნენ, მაგრამ მაინც იარჩიეს, და შემ-
დეგშიაც აირჩივენ. ეხლა კი აღშფო-
თება და წუწუნი იმის გამო, რომ იმ-
კვის ადრევე დათესილი, არ შეგვერის
სწორედ სოლოლაკელთა გაზეთს „კავ-
სლოვოს“.

ნი აღმოჩენილ შეცდომების, უბედურე-
ბის და ბოროტების, მკაცრად, კანონის
მიხედვით, იქნებინ დასჯილი, მიუხე-
დავად მათ სამსახურის მდგომარეობისა,
სახეწიფო სათათბირო გადადის მორიგ
საკითხებზე.

საიჩნა აღნიშნა ის მიზეზები, რომ-
ლებმაც გამოიწვიეს რუსების სამხედრო
მოუშვადებლობა, მოაგონებს, რომ სა-
თათბირო თავის მორიგ ფორმულით
საარტილერიო დაწესებულების შესახებ
აღნიშნა ეს ნაკლები, სამწუხაროდ, შე-
საფერი ზომები არ იყო მიღებული. სა-
ზოგადოდ უნდა აღინიშნოს — ამბობს სა-
ეჩი — რომ მთავრობისა და ხალხს შო-
რის უთანხმოება მთავარი მიზეზია რო-
გორც მთავრობის სისუსტისა, აგრეთვე
მთელი სახელმწიფოსი. რუსეთის მოკავ-
შირებმა ძალიან მალე მიიღეს შესაფე-
რი ზომები, ჯარის სურსათის დამზადე-
ბისათვის, რაწამს გამოირკვა აუარებე-
ლი მთითხოვნილებანი სამხედრო სურსა-
თისათვის, რუსეთში ეს საქმე კომისიით
სწარმოებდა. ბევრი დრო უნაყოფოთ
დაიკარგა. ორატორს წწამს, რომ ეს დე-
ფექტული თავიდან იქნებინ აცილებულ-
ნი. ხალხის აღფრთოვანებას, და მით
შორის მუშებისა საზღვარი არა აქვს.
მთავრობა ვალდებულია ისარგებლოს
ბოლომდინ საზოგადოებრივი ძალა, მაგ-
რამ საერთო მუშაობისათვის საქორაო,
რომ მთავრობამაც ხალხს გაუწიოს ან-
გარიზი. საქორაო მოისპოს საბედისწერო
განცალკევება მთავრობასა და ხალხს
შუა. საქორაო აგრეთვე ეკითხოს ხოლმე
ხალხის წარმომადგენლებს, რომელსამე
პასუხ-საგებ უნდა ვისიმეს დანიშნა.
გარუსევიჩის აზრით თუ ეს წელიწადი
მძიმეა მთელ სახელმწიფოსთვის, გა-
ცილებით უფრო მძიმე იყო იგი პოლო-
ნეთისთვის. მიუხედავად ამისა განუზო-
მელია პოლონეთის ხალხის მიერ საზო-
გადო საკმისთვის შეწირული მსხვერპ-
ლი. აუწერელია ის ტანჯვა, საერთო
განდღურება, რომელიც პოლონეთმა
აიტანა. მაგრამ ის მაინც მტკიცედ და
შეუპოვრად იბრძვის საერთო სურვილის
განსახორციელებლად — მტრის დასამარ-
ცხებლად, რომელიც საუქუნობითი მტე-
რი იყო პოლონეთის და მთელ სლავია-
ნების. ამიტომ პოლონელები დიდის აღ-
ტაცებით ეგებებიან როგორც მინისტრ-
თა საბჭოს თავმჯდომარის, ისე სხვა
წარმომადგენლების განცხადებას, რო-
მელშიაც გამოხატა რუსეთის უზუნაესი
სურვილი ომის ბოლომდე გაგრძელებისა.
ამ გამარჯვებას პოლონელები უღრმეს
მადლობას უცხადებენ ხელმწიფე იმპე-
რატორს, რომ მან კეთილ ინება და უბ-
რძანა მინისტრთა საბჭოს, შეუდგეს პო-
ლონეთის სამეფოსთვის განსაკუთრებულ
კანონ-პროექტის შემუშავებას. პოლონე-
ლებს რომად სწამდა რუსეთის და მისი
მოკავშირეების გამარჯვება და დარწ-
მუნებული არიან რომ პოლონელების
მომავალი დამკვიდრდება რუსეთის და
პოლონეთის ხალხის ურთიერთშორის
ნდობაზე და სიყვარულზე.

ევრემოვი. მიუხედავად სათათბიროს
დაბეჯითებით მოთხოვნილებისა, მთავ-
რობამ მაინც უპასუხისმგებლო პირთა
ხელში დასტოვა სახელმწიფოს თავდა-
ცვის მთავრები და რეგები. ჯარისათვის
არ შეუძლებია უკანადასაგარეო რიცხვი სამხე-
დრო სურსათისა, მისი მატერიალი მო-
წყობა არ ეთანხმებოდა თანამედროვე
სამხედრო ტექნიკას და მხოლოდ უკანა-
სკენდ დროს სცილობდა მთავრობა სწო-
რე გზის გამოხატვის ნაკლის შესავსებ-
ლად. გამოა უნდა იცოდეს, რომ ხალხის
წარმომადგენლები მას არა სოვლის და-
მარცხებაში დამნაშავედ. პროგრესიტე-
ბი სიხარულით ეგებებიან მთავრობის
აღორძინებას, მაგრამ საქმარისი არ არის
მხოლოდ რამდენიმე პირის გადაყენება,
საქორაო მთელი წესწყობილების შეცე-
ლა. გამარჯვებისათვის შინაური მშვი-
დობიანობის აღდგენაა საქორაო, უნდა
მიეცეს ორგანიზაციებს თავისუფლება,
მოქალაქეთ თავისუფლება მოქმედებისა
და ძლიერი ხელთუფლება, რომელსაც
ხალხის ნდობა ექნება. სათათბიროს მო-
ვლობაა მხარი დაუჭიროს მთავრობას
თავის ავტორიტეტით და გაიყოს მას-
თან ერთად პასუხისმგებლობა; მაგრამ
ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი,
როცა მთავრობა აშკარად აღიარებს სა-
თათბიროს ავტორიტეტს და თანხმობას
განაცხადებს მის კონტროლისადმი და-
ქვემდებარებას.

პეტროგრადი, 22 ივლ. სახელმწიფო
სათათბიროს თავმჯდომარის კანინეთში
ბარუნ-სეკრეტის თავმჯდომარეობით მო-
ხდა კრება, სადაც წამოყენებულ იქნა
გასაკუთრული ადმინისტრაციის საკითხი.
კრებას დაესწრა შინაგან საქმეთა სამი-

ნისტროს-გაგე-ქუ-ფე-შეჩებატოვი მან
განაცხადა: „გამოქცეული საქმის მოწეს-
რიგებას გუბერნიის ადმინისტრაცია
უნდა განაგებდეს, რადგან ამისათვის
ახალ მთავრობის შედგენას არავითარი
გასამართლებელი საბუთი არ მოეპოვე-
ბა. ხოლო საერთოდ გამოქცეულთა და-
ბინავების მოსაგვარებლად შინაგან საქ-
მეთა ადმინისტრაციის არსდება განსა-
კუთრებული დეპარტამენტი, რომლის
მოთავედაც სახელმწიფო საბჭოს წევრი
გრაფი ტიშკევიჩი იქნება. შემდეგ კრე-
ბაზე სასურველად სცენს, ამ დეპარტა-
მენტში განსაკუთრებული თათბირი მოხ-
დეს ხოლმე, სადაც მონაწილეობა უნდა
მიიღონ საკანონმდებლო დაწესებულებათა
წევრებმა და საზოგადო მოღვაწეებმა.
შეჩებატოვმა განაცხადა: გამოქ-
ცეულთა საქორების დასაკმაყოფილებლად
მთავრობისადმი განკარგულებით
საომარ ფონდიდან გადაღებულ უნდა
იქნას სათანადო თანხა.

კრებაზე საწიროდ აღიარეს კანონ-
მდებლობითის წესით გაყვანილ იქნას
საკითხი გამოქცეულთა ცხოვრების მოსა-
წესრიგებლად, რის გამოც პირველ ხა-
ნად უნდა გადაიდოს 25 მილიონი ძალად
გახიზნულ მცხოვრებთა საქორების და-
საკმაყოფილებლად.

ახალი ამბავი

კავკასიის დეპუტატთა თათბირი.
22 ივლისს ხანგრძლივი თათბირი ჰქონ-
დათ სახ. სათათბიროს კავკასიის დეპუ-
ტატებს კავკასიაში ერობის შემოღების
თაობაზე. ამ მოკლე ხანში სახელმწიფო
სათათბიროს წარდგინებულ დამოუკიდებე-
ლი წინადადება, სპეციალ კომისიაში
განსახილველად. საკანონმდებლო დაწე-
სებულებებში საქმის დაჩქარებით გატა-
რებისათვის საჭიროდ სცენს, რომ კავკა-
სიის სანამესტრიკომ წარმოადგანოს დამ-
ხლებელი კანონ-პროექტი 1896 წლის
დებულების თანხმად იმ ცვლილებების
შეტანით რომლებიც ადგილობრივ პირო-
ბებს შეეფერება.

გადმოხვეწილი. ვანიდან, მელას-
კერტიდან, პანტოსიდან და სხ. დიდძალი
გადმოხვეწილი სომხობა მოდის ივდირით
კავკასიაში. სომეხების სხვადასხვა კომი-
ტეტები საზღვრისაში არიან დახმარება
აღმოჩინონ გადმოხვეწილებს. თბილი-
სიდან და ეჩმიძინიდან უკვე გაგზავნეს
ივდირში ბლომად ვეჭილი, ტანოსაკმე-
ლი, წამალი, ექიმები და სხ.

ხილვია. 23 ივლისს სამხედრო
ლაზარეთში ხოლმით გარდაიცვალა 1
ჯარისკაცი და ერთი ჯარბერი № 40-
ნი. 24 ივლისს 2 ჯგანა ავად,
რომელთაგან ერთს (ფეოდოსია ლუ-
ცენკოს, ლიუტერანების ქუჩაზე მცხოვ-
რებს) ნამდვილი ხოლმე აღმოჩნდა,
ხოლო მეორე ხოლმის ნიშნებით. გუ-
შინ, 24 ივლისს, ხოლმით სულ 18
კაცი იწვა საავადმყოფებში.

ახალის ტალახის გამოკვლევა.
კავკასიის საკურორტო საზოგადოებამ
600 მან. გადასდო ინტერნო. კ. კო-
ნოშევიჩის განკარგულებაში ახტალის
ტალახის გამოსაკვლევად ფიზიკურ გეო-
ლოგიურად.

ფშავ-ხევსურეთის მიმდებარე,
მართლმადიდებელ ქრისტიანების აღმა-
დგენელ საზოგადოების დეკლარაცია. დ.
ა. დავითაშვილი, რომელმაც თან უნდა
გაიყოლოს ხუროთმოძღვარი. მოგზაუ-
რობის აზრი ის არის, რომ იქაურ ძველი
ტაძრების განახლების პროექტი შეადგი-
ნონ.

კახეთის რკინის გზის საქმეთა
გამო 26 ივლისს უნდა შესდგეს სინა-
ლის მკობის თავად-აზნაურთა საგანგე-
ბო კრება.

ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისო-
ვი გუშინ, 24 ივლისს, სარკაშიშიდან
დაბრუნდა თბილისს და დღეს ესენტუქს
მიმეზავრება სამკურნალოდ.

ქართულ სასოფლო სამეურნეო სა-
ზოგადოების საბჭომ 23 ივლისს დადგი-
ნა: 1) საზოგადოების იყოლის მამულში
აშენდეს სახლი, რომლის გეგმა და მო-
სალოდნელი ხარჯი წინასწარ უნდა შე-
მუშავდეს; 2) მიეწოდოს საზოგადოების
მდივანს ვ. ი. რეხილაძეს შეადგინოს
ატენის მამულის მეურნეობის გეგმა და
ხარჯთაღრიცხვა და წარმოადგინოს საბ-
ჭოს განსახილველად; 3) საბჭოს წევრს
ბ-ნ ვ. მელაშვილის შედგენა ინს-
ტრუქციის პროექტისა, რომლითაც უნდა
ინტეგრირდეს საზოგადოების ინსტ-
რუქტორება.

მასწავლებლების პენსია. მართლ-
მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ
საზოგადოების საბჭომ საგანგებო კომი-
სია აირჩია, რომელმაც ამ საზოგადოე-
ბის მასწავლებელთა პენსიის (და დახმა-

სახელმწიფო სათათბირო

(პეტროგრადის დეპუტატთა სააგენტოსაგან)

პეტროგრადი, 23 ივლ. პეტროგრადის
დეპუტატთა სააგენტო აცხადებს, რომ
სახელმწიფო სათათბიროს 19 ივლისის
ანგარიშის უკანასკნელი ნაწილი მან ტე-
ლეგრაფს ჩააბარა 19 დამით, მაგრამ რა-
ღაც მიზეზების გამო პროვინციის ბევრ
ქალაქში დეპუტატების გადაცემა რამდენიმე
დღით დაგვიანებულა.

ბ. დ. სააგენტოს თბილისის განყოფი-
ლება აცხადებს რომ 19 ივლისს გამო-
გზავნილი დეპუტატი მან მხოლოდ 23-ს
მიიღო.

პეტროგრადი, 19 ივლ. (გაგრძელება)
გრაფ ზობრინსკი აცხადებს რომ თუმცა
ის გამოდის ნაციონალისტების სახელით,
მაგრამ არაფერს პარტიულს არ იტყვის,
რადგანაც დღეს რუსეთში პარტიები არ
არსებობს და ყველას თვალწინ უღვას
დიდებული ეროვნული საკითხი — მტრის
დამარცხება. სახელმწიფო სათათბიროს
წევრთა პირველ მოვალეობას შეადგენს
ფლოტსა და ჯარისადმი მადლობის გა-
დახდა. განუხორციელოთ ეს მოვალეობა
საქმიოა, მიეცეთ ჯარს ყველაფერი
რაც კი გამარჯვებისთვის ესაჭიროება.
უნდა ვისრულოთ დასახირობულთა და
ობოლთათვის. საქორაო შიდა რეფორმე-
ბი, ვინაიდან ჩვენმა ქვეყანამ დაამტკაცა
თავის სიმწიფე, მაგრამ ამ რეფორმების
განხორციელება მხოლოდ ზავის ჩამო-
გდების შემდეგ შეიძლება. ორატორი
სიამოვნებით ეგებება არაყის გაყიდვის
აღკაძვლას, რომელმაც განუზომელი
შედევები მოიტანა. რუსის მუშებმა და-
ამტკიცეს სიმწიფე და პარტიოტიზმი.
ორატორი დარწმუნებულია, რომ მომა-
ვალშიც მუშები არ აპყვებიან აგრი-
ციას, მრეწველებიც მიიღებენ მხედვე-
ლობაში ცხოვრების გაძვირებას და მის-
დამიხედვით მოუშაბტენ ხელფასს. შემ-
დეგ ენერგიული ზომებია მოსაღები გერ-
მანიის ძალდატანების წინააღმდეგ თვით
რუსეთში. ორატორი განაგრძობს, მთავ-
რობამ პირდაპირ და ნდობით უნდა
გაუზიაროს სიმაირლეს სახელმწიფო სა-
თათბიროს მან უნდა ახსნას თუ როგორ
ფიქრობს გამარჯვების მოწყობას და წი-
ნანდელ შეცდომების გამოსწორებას.
გახსოვდეთ რომ ჩვენში ჯერ კიდევ
ნდობით უყურებენ სახელმწიფო სათათ-

ბიროს, ჯარს კი უყვარს და სწამს იგი,
ჩვენი ვალია ეს რწმენა და მოლოდინი
გაეანაბროთ (ტაში). სახელმწიფო სა-
თათბირო თვალყურს ადევნებს მთავრო-
ბის დაპირების შესრულებას და ბოროტ
მოქმედების მოსპობას. ჩვენ განახლებულ
მთავრობასთან ერთად ვიმუშავებთ, მაგ-
რამ მთავრობამ პირდაპირ უნდა მიეგე-
ბოს რუსის ხალხს და საზოგადოებას.
მთავრობა ერთსულოვანი უნდა იყოს,
უნდა დაიფიქროს უწყებათაშორისო
კონკალაბა, კანონის და წესიერების
დამყარებაში, ბოროტმოქმედების დევნა-
ში და სახელმწიფო თავდაცვაში იგი
უნდა იყოს ძლიერი. ორატორი უარყოფს
ყოველგვარ იქვს და ლაპარაკობს — ვინც
ჯარში იყო, ვინც გაეცნო ჯარის სულის
კვებებას, ის დარწმუნებულია რომ
ჩვენი ჯარი უძლიერეა. დასკვნაში
გრაფ ზობრინსკის ნაციონალისტების
ცენტრის მოვრობე-ოქტომბრისტების
დავალებით შეაქვს შემდეგი ფორმულა:
თავს ვიხრით რა რუსეთის ფლოტისა და
ჯარის ქებულ და უმაგალითო სიმამაცის
წინაშე, და ვამოწმებთ, რა ომი წარსუ-
ლი წლის სამხედრო გამოცდამ უფრო
განამტკიცა რუსეთს იმპერიის მცხოვ-
რებთა შორის სურვილი ერთგულ მოკავ-
შირებთან ერთად განაგრძოს ბრძოლა
ბოლომდე, და არ დაიდოს ზავი, მინამ
გამარჯვება ბრწყინვალე არ იქნება,
ვეჭირობთ, რომ ჩქარი გამარჯვება შეი-
ძლება მიღწეულ იქნეს მთელი მცხოვ-
რებთა მხურვალე მონაწილეობით, ახალი
ბრძოლის გამოძენის საშუალებით, ყვე-
ლა ეს კი მოითხოვს შინაური მშვიდობი-
ანობის განმტკიცებას, ძველ პოლიტი-
კურ ბრძოლის დავიწყებას და აგრედვე
მთავრობის მხრივ კეთილ მოპყრობას
ყველა ერთგულ იმპერიის მცხოვრებთა
ინტერესებისადმი, განუჩრგველად ეროვ-
ნებისა სარწმუნეობისა და ენისა. ვა-
დგავირობთ რა, რომ ჩქარი გამარჯვება
შეიძლება მხოლოდ, მაშინ, როცა მთავ-
რობა შეიძლება კავშირს იქონიებს ხალხ-
თან, რომელიც ექნება აღპყობილი
სრული ხალხის ნდობით. ვამოწმებთ
დღემა რწმენას, რომ აქნობამდე ზოგიერ-
თა ნაკლები სამხედრო სურსათის მზადე-
ბის გამო, როგორც საკანონმდებლო,
ისე ფართო საზოგადოებრივი ენერგიით,
იქნებინ დატოვებულნი, და დამნაშავე-

1) იხ. „კლდე“ № 35, 1914 წ., „ომი
და ქართველ-სომეხთა ურთიერთობა“.
2) იხილეთ ამის შესახებ „ზავ. რეფ.“
№ 264, 1914 წ.
3) იხ. „კლდე“ № 35. საზოგადოდ თუ
ვა ვაზეთებს არ ეხსენებ და მხოლოდ
„უღებლად“ ეკმაყოფილებდით, ეს იმტომ,
ქართველ პრესაში ამ უფროსის გა-
ქართულ გაზეთებიდან არც ერთი
ურ მონაწილეობას არ იღებდა ამ
ხში.

რების საკითხი ყოველ მხრივ უნდა გამოარკვეოს. კომისიაში წევრებად არიან: სინოდის კანტორის პროკურორი პოპოვი, არქიმანდრიტი მელქისედეკი და დ. ა. დავითაშვილი.

გამოქვეყნება დახმარება. თბილისის სასულიერო სკოლის საზოგადოებამ გუშინ 5,000 მანეთი გაუზღავნა ტელეგრაფით ენკლიფინში სომეხთა კათალიკოსს. ეს ფული უნდა მოხმარდეს გამოქვეყნულ სომეხებს.

საბარეო კომიტეტი პეტროგრადის სასულიერო სკოლის კომიტეტში თავის წარმომადგენლად აირჩია ა. ნ. ენფინჯიანი და ვ. რ. ტერ-ხაბაროვი.

ქუჩების მორწყვა. ვინაიდან დღეს, ხვალ და ზეგ ლიტანია გაიმართება თბილისში, ქალაქის გამგებამ განკარგულება მოახდინა, ის ქუჩები, რომლებზედაც ლიტანია გაივლის, წინასწარ მორწყულ იქნას.

მეფუტკრეობა და მებაბრეშუმეობა. როგორც ვადაც ვიცით, ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს აზრად აქვს, ატენის მამულში მოაწყოს მეფუტკრეობა და მებაბრეშუმეობა.

სიმინდის დარიგება. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება 8 ვაგონ სიმინდს გზავნის დამშუფლთათვის დასარიგებლად აჭარისა, შავშეთისა, იმერხევისა და სენაკის მაზრაში.

„მშური სეტყვა“. ერთდღიური გაზეთის — „მშური სეტყვის“ მოთხოვნა იქნა ერთობ დიდი, მაგრამ გამოცემული კომისია ყველას ვერ აკმაყოფილებს ქალაქის სიმცირის გამო.

პეტროგრადის წევრის არჩევა. რადგან ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი თავ. ს. რ. ვახვახიშვილი სამსახურისა გამო ბაქოს გადავიდა, ამ რამდენიმე ხანში იმის ადგილას საზოგადოებამ სხვა უნდა აირჩიოს თავმჯდომარის ამხანაგი.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგებამ 23 ივლისს ვადასწავიბა, თავისი განყოფილებანი გახსნას რამდენსა ადგილას საქართველოში. გამგებამ, აგრეთვე დაადგინა შეიქიითის სტრუქტურა გუგუტს და ქალებს, მიიღებენ თუ არა თავიანთ თავზე დაბრუნებულ აპარულსათვის საცვლების დამწვანების მოწვევების პასუხისმგებლობას.

სათავად-აწნაური ბანკი. თბილისის სათავად-აწნაური ბანკის გამგებობის დადგენილებით, დირექტორი ამ ბანკისა თავ. ს. რ. ვახვახიშვილი ბანკის განყოფილების გამგედ დანიშნა ბაქოში. თავ. ვახვახიშვილი გუშინ საღამოს გაემგზავრა ბაქოს.

სოფელ მირზაიანიდან (სიღნაღის მაზრა) ვაგონები: 20 მკათაუგეს ბოროტგამზარებელმა დაახრჩვეს მანდილოსანი გონაშვილი. ბოროტგამზარებელის კვალსთვის ჯერჯერობით ვერ მიუგვნიათ.

ქალაქის გამგებამ სთხოვა თბილისის პოლიციისტივს, რომ, რადგან მიღებულ წყალი ცოტაა, თუ სადმე ცუტელს გაჩნდეს თბილისში, პოლიციამ ქალაქის სახელოსნოდან ტელეფონით ოსტატს გამოუძახოს, რომელიც მახლობელ სახლების მიღებს დაკეტავს და წყალს ცეცხლის დაქრობას მოახმაროს.

სიციხე და უყინულობა. თბილისში პაპანაქება სიციხეა. უფთი ყინვა ფასობს ექვსი აბაზიდან ორ მანეთამდე.

გადაშვები სენი. 24 ივლისს ქალაქის თავმჯდომარე იყენენ: ქუთთრუშინი 24, ხუნაიანი 11, ყუვილიანი 3, საოფლიანი 7 და მუცელიანი 4 კაცი.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ნომერში დ. კახელის წერილში შემდეგი კორექტურული შეცდომა შეგვარა: სწორია: 1) ქართველი ერის მოთხოვნები. უნდა იყოს: ქართველი ერის მოთხოვნებების. სწორია: 2) ლაჩრულად ჩაეკითხა სავარძელში, უნდა იყოს: ლაჩრულად ჩაკეტილი სავარძელში.

სის წინაშე ამა წლის 7 აგვისტოს დილის 9 საათზე. უნდა გამოცხადდნენ იქ, სადაც კი მათ მიწვევა უსწრობს და არა იქ, სადაც მიწერილი არიან. ყველას თან უნდა ჰქონდეს პასპორტი ანუ დამატურებელი მოწმობა პიროვნებისა და აგრეთვე, თუ კი მოიპოვება, მეტრული მოწმობა. დროებითი შინ დათხოვნა აღარ მოხდება. სამხედრო ბეგარში მიღებულნი უმაღლესი ჯარში იგზავნებიან. საჭირო ბარგი, თუ სხვა რამ ნივთი ჩანთებში უნდა ჰქონდეთ და არა ყუთებში, რადგან ყუთს ადგილობრივ დატოვებინებენ. თან მოტანილ წაღებში მისცემენ 7 მ. 50 კ. ხალათში 60 კ. შალავარში — 50 კ. შესაწმენდში — 20 კ. ცხვირსახოცში — 9 კ. წყვილს ფეხის ტილოში — 15 კ. გამოუცხადებლობის გამო შეღავათი მიეცემა 1) მძიმედ ავადმყოფებს, ვიდრე არ მორჩებიან, 2) შეტყობილობის და სამართალში მიტეხულთ, ვიდრე მათი საქმე არ გაირჩევა, 3) ვისაც შეღავათი აქვს მიცემული სამაზრო თუ სამოქალაქო ბეგრის უფროსისაგან სწავლის გასათავებლად. შეღავათი არ მიეცემათ არც დაცოლ-შეიღონებულთ, არც მალა წოდების პირთ და არც იმათ, რომელნიც სხვა და სხვა სამსახურში არიან. არც იმათ მიეცემათ შეღავათი სწავლის დასასრულამდე, რომელნიც უცხო ქვეყნებში სწავლობენ.

ის პირნი, რომელნიც უმაღლესსა თუ საშუალო სასწავლებლებში სწავლობენ და აგრეთვე რკინის გზაზე 1912 წლის 5 ივლისის დებულების ძალით შეღავათით სარგებლობენ, მხოლოდ მათ 1915 1 სექტემბრამდე მაზრის ბეგრის უფროსს უნდა შესაფერი მოწმობა წარუდგინონ. ყოველმა დაწესებულებამ და კერძო პირებმა ახალგაზრდა ჯარში გასაწვევად ანგარიში უნდა გაუსწორონ და დოკუმენტებიც ჩააბარონ.

ოქროს საპრავი

ოქროს ქარი დანაწილდნენ: ვერცხლის სიმები დაუღწეველდნენ. სიკვდილის წუთი ახლოვდებოდა, ავადმყოფმა ქნარს გადახედა, შეიღებს და აცქერდა და მწარედ, მწარედ გაიღიმა. — მამა!.. სასივარის ველით, — უთხრა მოკრძალებით უფროსმა შეიღმა. — ქნარის სიმები გაგინაწილე. — გარედ გამიყვით... აიფანზე. — ბრძანა მგოსანმა. — მინდა ტბა ვნახო... მეგობარი...

ტბას ბოლო მოსწოლოდა, ნისლი მოსდებოდა და მგოსანის აივანს ამწუხარებდა. მალალ მთებს ღრუბლის რიდე აფარებოდათ. ავადმყოფმა დილის სიგრილე შეისუნთქა. ტბის დანახვაზე ძალია მოეცა, გამოცოცხლდა, ტბებზე წამოიჯდა, თვალთავან სხივნი ვაღმობინა.

— ჩემი ქნარი... გამომიტანეთ ჩემი ქნარი!... — წამოიძახა მკვეთრი ხმით... ვერცხლის სიმები აწკრილდნენ. მზემ ღრუბელთ ხროვა გარდღია, სხივის სვეტები ვაღმოუშვა და ოქროს ქნარი ააბჭყვირა; მგოსანს ჭილა აუბნინდა; ტბამ შეება იგრძინა, ნისლი მოშორდა, ლავარდი გული გამოიჩინა და ძველ მეგობარს გაუცინა. მთებმა რიდე გადაიხადეს.

მგოსანს გულიდან მძლავრე მძლავრი ხმები აღმოხდა, მალაღნი ხენი სმენად იქცნენ. — ჰოი, მეგობარო, შენგან მივიღე სილიაღ! — შეპოლიდა მგოსანმა ტბასა. — შენს სალაოში ვპოულობდი თვალმარგალიტსა, ნახს აბრეშუმზე ვამწკრივებდი და უტოლდებოდას სახეს ვკარავდი ოქროს საკრებულოში სიმთა წყრილობაზე... ბოლო ეღება ჩემს აღმადგინებას, თავსა განებებ, ქნარი მრჩება და შენ გაბარებ... არ ვინაწილებ: სიმთ ვერძობა მძლავრს არას შეჰქმნის. იმას აჩუქე ეს საუნჯე, ვინცა სიმები შეახმატებლოს ერთად ავლეროს. ავა, მიიღე... წყალი გაიბა და ოქროს ქნარი ტბისა უფსკრულში ჩაიშალა.

მგოსანმა სული განუტევა. მზე მიიშალა, ტყე აზრიალდა. ტბა მოიბურჯა. მთებმა რიდე ჩამოიფარეს.

— თითქოს მეცნობა ეს ლურჯი ტბა! თითქოს ოდესღაც აქ მეცხოვროს! — სთქვა ჭაბუკმა და ტბის ნაპირს მიუახლოვდა. — ტბამ ჩემი გული საიდუმლო

ქსელში გააბა... ერთი უყურეთ ცელქ ტალასა, როგორ იხტებენ მზესა გულში... ოჰო! ვახუშტის დილის სიომ შემოუბრა, მზეს სახე წყალში დაუბარა... ტბას საიდუმლო ხმები აღმოხდა. ჭაბუკი შეკრთა და გაერეშეშა ცქერა და იწყა. დასავლეთისკენ, წყლის ნაპირას ობოლი სახლი დაინახა.

— რა ლამაზია! — წამოიძახა აღტაცებულმა. — აივანი ტბაში შეტრიალა... დასავლეთიდან ღრუბლების ჯარი წამოვიდა. მთებს შემოვივლო, ცას ვაღველო და მზე დაღვარა.

ჭაბუკმა სახლსა მიაშურა... სახლის პატრონი არსადა სჩანდა. კარი შეიღო და აივანზე ფეხი შედგა... ტბებზე ჩამოიჯდა. — ცამ მრისხანებით გაივლეა. ქარმა დაჭაბურა. ტბამ მძლავრად მკერდი აიწია, ტალა ტალაზე აავიჯდა და აივინსაკენ გააქანა, თითქოს უნდა რომ სახლს მოსწვევითოს. ჭაბუკი ცქერად გარდაიქცა. ტალა გავეითდა, რალა ნივთი შეათამაშა და აივანზე შეისროლა, ჭაბუკს კალთაში ჩაუვარა.

— ოქროს ქნარი! — წამოიძახა ახალგაზრდამ.

გახარებული ზე წამოიქრა, მითრთოვარე ხელი უნებურად სიმებს შეახო, უცხო საკრავი აწკრილდა და მწყობრმა ხმებმა დენა იწყეს. ქარი ჩაერია. წყალი დაწყნარდა. ცა მოიწმინდა და ბრწყინვალე მზემ ტბის ზედაპირზე ოქროს სხივები მიმოაფრქვია. მალაღნი მთებმაც ვაღმობინდეს.

ჭაბუკი შეერია, ამაყი თავი მალა აიღო: მოდიმარ სახეს მალაღი შუბლი უმწვენებდა შავი თვლები უღვარებდნენ. ახოვანს ტანზე მზის სხივები შემოეხვია და მზინანეს თმებს შარავანდელი გადავლო.

ვერცხლის სხივები ეღვასავით იხლაკნებოდნენ.

ჭაბუკი ლურჯ ტმას დააცქერდა... მოხუცი მგოსანის ძველი ამბავი ამოიკითხა და დამღვრა;

— ეხლა ჩემია ეს საკრავი, სახლი, ლურჯი ტბა. გვირგვინ წამართმევს. ჩემში იფეთქა მგოსანისა სულმა, მე მომიწოდ...

ჰოი, ტბაო, ტბაო... ტბამ მკერდი გაიხსნა, თვალმარგალიტი გამაჩინა და ჭაბუკს მგოსანს შესთავაზა...

სიმთა წყრილობა ნარნარი სახე ამოიქარგა... სიღვრის ხმები შორს წავიდნენ და მთის მწვერვალნი ვაღალახეს.

ინ — ბანი.

ჩვენი სწოვაება

ბათუმის 20 ივლისს შესდგა კრება ბათუმის ახალი ხმოსნებისა; გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: ჯამაგირების მომარტება ქალაქის თავისათვის, მის მოადგელსათვის და საბჭოს მდივნისათვის, აგრეთვე არჩევა ახალის კომისიებისა — საფინანსო, სარევიზო, საკვები, სასწავლო და ერთი წევრისა საოლქო ქალაქის საქმეების საკრებულოში მონაწილეობის მისაღებად.

საბჭომ მიიღო მხედველობაში თანამედროვე ცხოვრების პირობები და დაადგინა: მიეცეს მომავალ ქალაქის თავს ჯამაგირი 7000 მან, მის მოადგელს 4200 მან. და საბჭოს მდივანს — 2400 მან. ამის შემდეგ შეუდგნენ საოლქო ქალაქის საქმეების საკრებულოში მონაწილეობის მისაღებად ხმოსნის არჩევას. დასახელებულ კანდიდატებთა შორის ყუთი დაიდგა ახალგაზრდა იურისტმა გიორგი ანჯაფარიძემ, რომელმაც მიიღო 30 თეთრი და 8 შავი.

რაც შეეხება კომისიების არჩევას — ზოგი მათგანი ვადაც ვიცით იქნა სხვა დროისათვის, რათა ახალ საბჭოს წევრებს საშუალება მიეცეთ უფრო დაახლოვებით გაეცნან ერთმანეთს და საპასუხსავე კომისიებში ღირსეული და საქმის მყოფნი პირები აირჩიონ. არჩეულ იქნენ მხოლოდ საკვები და სასკოლო კომისიები, რადგანაც გამოირკვა, რომ ეს კომისიები ახლავს საქირონი არიან. საკვებ კომისიაში აირჩიეს: მელია, კანდელაკი, სიმონოვი, ხორმანსკი, ჩხენკელი და მგროპული. სასკოლო კომისიაში: გოგორაძე, შაბილო, სიმონოვი, ჯაყელი, საბახტარაშვილი, მდოიანი, აბაკელი, ბინიატოლი, ბუზოლი, მატეივიჩი. დიდი და თავაშვებული ლაპარაკი ქალაქში მომავალ ქალაქის თავის არჩევნების შესახებ. ხმოსნები თითქმის ორს ბანაკად არიან გაყოფილნი; დიდ მოთქმა-

მოთქმას იწვევს გამოურკვეველი მდგომარეობა ქალაქის თავის თ-დის ანდრონიკაშვილისა,

ლები აღარ მისწრაფიან პარიზისკენ; იგი ანხობს მხედრობაში მოვიდეთ მტერი, რომელიც ბერლინში მოსვლას აპირებდა. იმპერიატორის ხელნაწავს გერმანიის ეკონომიურ ძლიერებას, ხალხის გონიერ თავგანწირვას, გმირულ ვაჟაკობას ჯარისას, და იმედოვნებს, გერმანიის იტანს ყოველგვარ ტანჯვას, სანამ ზავი არ ჩამოყარდება ისეთი, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს გერმანიის სამხედრო, ეკონომიურ და პოლიტიკურს ძლიერებას და შეჰქმნის აუცილებლად საჭირო პირობებს გერმანიის ძალების ვასალითარებლად როგორც სახლში, აგრეთვე თავისუფალ ზღვებზედ.

სალონიკი, 17 ივლისი (დაგვიანებული). სტამბოლიდან ვადაც ვიცით, რომ სამხედრო სასამართლომ სიკვდილი ვადუწყებდა პერის ბერძენ ეპისკოპოსს, რადგან იმას საბერძნეთ-ოსმლების საწინააღმდეგო მიტრნებები უნდა გაემართოს. საბერძნეთოვ ეპისკოპოსი ოსმალეთში არ იმყოფება.

პარიზი, 22 ივლისი (ოფიციალად). დღემ მშვიდად გაიარა. ფრონტის დასავლეთის ნაწილზედ არტილერიის მოქმედება შეჩერდა ბელგიის ჰსტენსტრაატეს მადიმობის, ხეტვას, არტუას (როკლენკურში) და რომა-უაზის შუა ადგილების გარდა. არგონეში მარია-ტერეზის და სენ-ობერ რაიონში ბრძოლა სწარმოებს ხელის გრანატების შემწეობით. აპრემონის ტყეში ფონტენელთან და ლენეს მალაობებზედ ძლიერი სროლა სწარმოებს ზარბაზნისა.

ლონდონი, 22 ივლისი. აგრეთვე მოითხოვს ინგლისისაგან ნეიტრალიტეტს სახელმწიფოების გემების თავისუფალს მიმოსვლას, თუნდაც ამ გემებს ნეიტრალ ქვეყნებიდან მოჰქონდეთ გერმანიის ბარგი. გვიკ ჰპირდება სადაო საკითხების განხილვას, მაგრამ დასძენს, მოკავშირე სახელმწიფოები ყოველ ღონისძიებას იხმარებენ გერმანიის შესაფეროვებლად, რომელმაც უარყო ყოველივე ადამიანობა თანამედროვე ომის დროს.

ლონდონი, 23 ივლისი. მინისტრმა ბონარ-ლორდმა სთქვა: რადგან ჩვენი კოლონიები მონაწილეობას იღებენ ომში, ამიტომ ზავზედ მოლაპარაკების დროს მათაც მიეცემათ უფლება მონაწილეობისაო.

რედაქტორ-გამომცემელი

Table with 2 columns: Name and Amount. Includes entries like 'სანდრო უანუაშვილი' and 'თელავიდან-გურჯაანამდე № 8'.

Table with 2 columns: Name and Amount. Includes entries like 'თბილისიდან' and 'თელავიდან'.

Table with 2 columns: Name and Amount. Includes entries like 'თბილისიდან' and 'თელავიდან'.

თავის მკურნალობის

განყოფილება ავსტრიული... გუშინდელი მოვდის საკუთარ და სავაქრო სახლ. „ლ. შაილოვის შვით“, სამწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილადა, მცირე მარლიანი, შავი „მეშინი“ ხიზილადა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკერის შუთხა, თართი, ფარგა და ლოგაქეს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსე და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.